(2002)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს <u>გადაწყვეტილება</u>
კოლექტიური სამშვიდობო ძალების აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში ყოფნის შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ **გადაწყვიტა:**

1. გაგრძელდეს კოლექტიური სამშვიდობო ძალების აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა და მანდატი 2002 წლის 30 ივნისამდე ან იმ დრომდე, როდესაც კონფლიქტის ერთერთი მხარე გამოვა ოპერაციის შეწყვეტის მომხრედ.

2. დადასტურდეს კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატი აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში 2002 წლის 1 იანვრიდან ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

3. საქართველოს და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა დსთ მონაწილე-სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის მონაწილეობით, ერთობლივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დროებით ოპერატიულ სამუშაო ჯგუფთან და საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ბ-ნ დ. ბოდენთან თანამშრომლობით , განიხილონ შემდეგი საკითხები:

- აფხაზეთში, საქართველო, უსაფრთხოების ზონის გაფართოების შესახებ, კერძოდ, უსაფრთხოების ზონაში გალის რაიონის (ძველ საზღვრებში) ჩართვის შესახებ, შეიარაღებათა შეზღუდვის ზონის საზღვარი გატარდეს მდინარე მოქვის გასწვრივ;

- ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მათ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისას დამატებითი უსაფრთხოების ზომების შემუშავების შესახებ;

- კოლექტიური სამშვიდობო ძალების დისლოკაციის შეცვლის გეგმის შემუშავების, კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის და უსაფრთხოების ზონის გაფართოებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების შესახებ;

ინფორმაცია დასკვნებისა და წინადადებების შესახებ წარდგენილ იქნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მორიგ სხდომაზე.

4. ამ დასკვნების გათვალისწინებით თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ შეიტანოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს განსახილველად წინადადება აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ოპერაციის გაგრძელებისა ანდა შეწყვეტის თაობაზე.

5. მიეწოდოს ინფორმაცია გაეროს უშიშროების საბჭოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ამ გადაწყვეტილების შესახებ.

შესრულებულია რუსულ ენაზე იმ წესით, რომელიც დადგენილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობის მეთაურების საბჭოს პროცედურის წესების მე-20 წესის მე-6 პუნქტით. დედანი ინახება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც გაუგზავნის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თითოეულ მონაწილე-სახელმწიფოს მის დამოწმებულ ასლს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკისაგან
ა. ალიევი
22 მარტი 2002 წელი

რესპუბლიკა სომხეთისაგან
რ. კოჩარიანი
20 თებერვალი 2002 წელი

რესპუბლიკა ბელორუსისაგან
ა. ლუკაშენკო 1 მარტი 2002 წელი

საქართველოსაგან
ე. შევარდნაძე 1 მარტი 2002 წელი

რესპუბლიკა უზბეკეთისაგან
ი. კარიმოვი **22 მარტი 2002 წელი**

უკრაინისაგან

რესპუბლიკა ყაზახეთისაგან
ნ. ნაზარბაევი
1 თებერვალი 2002 წელი

ყირგიზეთის რესპუბლიკისაგან
ა. აკაევი
11 თებერვალი 2002 წელი

რესპუბლიკა მოლდოვასაგან
ვ. ვორონინი
15 თებერვალი 2002 წელი

რუსეთის ფედერაციისაგან
ვ. პუტინი
8 თებერვალი 2002 წელი

რესპუბლიკა ტაჯიკეთისაგან
ე. რახმონოვი
1 მარტი 2002 წელი

თურქმენეთისაგან

(აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 2000 - 2 0 0 3, წ. ნაწილი I. შემდგენლები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია. თბ., 2004 , გვ. 243-244. საკუთარი თარგმანი)